



29.11.07.

შენიშვნები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტზე „ტყით სარგებლობის გეგმის შედგენის შესახებ“ დებულების პროექტზე:

წარმოგიდგინებ შენიშვნებსა და კომენტარებს ტყით სარგებლობის გეგმის შედგენის შესახებ დებულების პროექტზე:

1. არ არის აღნიშნული, რომელი კანონიდან გამომდინარეა ეს დებულება.
2. მუხლი 1-ში „ზოგადი დებულებები“ მოცემულია გეგმის განხილვისა და დამტკიცების ვადები. ეს ვადები საკმაოდ შემჭიდროებულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსალოდნელია სამინისტროში ერთდროულად რამდენიმე ასეთი გეგმა შევიდეს. მაგალითად, ამჟამად გამოცხადებულია აუქციონი 25 ლიცენზიაზე, რომელიც თებერვალში ჩატარდება. ლიცენზიანტებს ევალებათ ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 10 თვისა სამინისტროში წარადგინონ ტყით სარგებლობის გეგმები დასამტკიცებლად. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტებს ყველა ბოლო დღეებში წარადგენს ხოლმე. შესაბამისად აღმოჩნდება, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ 14 დღეში 25 გეგმა უნდა განიხილოს და შენიშვნები მოამზადოს, სამინისტრომ კი მომდევნო 2 კვირაში ეს გეგმები შენიშვნებიანად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება.
3. მუხლი 2-ში „გამოყენებული ტერმინების განმარტება“ - მოცემულია შემდეგი ტერმინი - „საექსპლუატაციო ტყის ფონდი - საქართველოს ტყის ფონდი, დაცული ტერიტორიების გარდა; საქართველოს საექსპლუატაციო ტყის ფონდის კატეგორიებია: ა) დაცვითი ტყეები; ბ) რეკრეაციული, გ) სამრეწველო ტყეები.“
საქართველოს კანონმდებლობა ასეთ კატეგორიებს არ იცნობს. საქართველოს ტყის კოდექსში მოხსენებულია სახელმწიფო ტყის ფონდის სხვა დაყოფა და სხვა კატეგორიები. თუ ამ დებულებით შემოდის ასეთი დაყოფა, მაშინ საჭიროა ამ კატეგორიების (დაცვითი ტყეები; რეკრეაციული, სამრეწველო ტყეები) განმარტებაც იყოს მოცემული. ასევე განისაზღვროს, უქმდება თუ არა ტყის კოდექსში მოცემული დაყოფა. თუმცა, ალბათ იურიდიულად შეუძლებელია ამის გაკეთება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არის ამონარიდი „ახალი ტყის კოდექსიდან“, რომელსაც ჯერ დღის სინათლე არ უნახავს.
4. მუხლი 3-ში გეგმის შედგენის ერთ-ერთ მიზნად მოხსენიებულია გარემოს დაცვის უზრუნველყოფა, მაგრამ დებულების ტექსტში არაფერი არ არის ამის გასამყარებლად. წარმოდგენილი დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარ ნაკლს სწორედ ეს წარმოადგენს.
5. მუხლი 3-ს ეწოდება მიზნები და ამოცანები, თუმცა არ ჩანს რომელია მიზანი და რომელი ამოცანა.

6. მუხლი 4, ტყით სარგებლობის გეგმის შინაარსი“, პუნქტი 2 „ტყით სარგებლობის გეგმა მოიცავს“: მოცემულ ჩამონათვალში აღნიშნული უნდა იყოს, ამ შინაარსიდან, რომელი პუნქტებია ყველა ლიცენზიის მფლობელისათვის აუცილებელი და რომელი კი დამოკიდებულია ლიცენზიის პირობებზე და სალიცენზიო ობიექტზე. გაუგებარია, აუცილებელია თუ არა, რომ ყველამ გააკეთოს მაგალითად, „რეკრეაციული ტყით სარგებლობის დანერგვა“ ან „სატყეო პლანტაციური მეურნეობის მოწყობა“.

7. მუხლები 5-12, მოიცავენ თავების შინაარსს, ამიტომ უნდა იწყებოდნენ შემდეგნაირად: მაგალითად: „თავი ზოგადი ნაწილი და არსებული მდგომარეობა მოიცავს“ და ა.შ.

8. მეხუთე მუხლს უნდა დაემატოს მოთხოვნა, რომ მართვის გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს უნდა იყოს მეთოდოლოგიური ნაწილი (ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია და სხვ., ჩატარების პერიოდი).

9. გაუგებარია, რატომ შედის მუხლში „რეკრეაციული მეურნეობის წარმოება“ „სამონადირეო მეურნეობის მოწყობა“. თუ ცალკე დებულება არა, ცალკე თავი ან მუხლი მაინც უნდა ჰქონდეს მიძღვნილი სამონადირეო მეურნეობის მათვის გეგმის შედგენის წესს.

10. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა, გარდა ამ დოკუმენტში აღნიშნულისა, უნდა მოიცავდეს მეთოდოლოგიური ნაწილს: მოპოვების კვოტების დადგენის მეთოდოლოგიას, ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიას, მონიტორინგის მეთოდოლოგიას, აღწარმოების მეთოდოლოგიას.

11. წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ „ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებას“, რომლის მერვე მუხლში ჩამოყალიბებულია „სალიცენზიო პირობები“. შეუძლებელია განსახლველი დოკუმენტის მიხედვით შედგენილი მენეჯმენტის გეგმით დადგინდეს, დაიცვა უ არა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელმა სალიცენზიო პირობები. მაგალითად ასეთი პირობა: „უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა“. საეჭვოა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაიცეს დადებითი ეკოლოგიური დასკვნა ასეთი გეგმით შედგენლ მენეჯმენტის გეგმაზე: წარმოდგენილ დოკუმენტში ხომ არაფერია ნათქვამი ეკოლოგიური კანონზომიერების დაცვის ღონისძიებებზე, გარემოსდაცვით ვალდებულებებზე და სხვ.

12. წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება FSC-ის კრიტერიუმებსა და პრინციპებს, და აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა შესრულდეს სამინისტროს მიერ დეკლარირებული და „გაპიარებული“ საკითხი, რომ საქართველოს სატყეო პოლიტიკის ორიენტირი ამ პრინციპების შესრულებაა. ან როგორ უნდა დაიცვან უკვე გაცემული ლიცენზიების მფლობელებმა FSC-ის პრინციპების შესაბამისობის ვალდებულება, რაც მათ ლიცენზიით აქვთ განსაზღვრული. სწორედ ამ მოთხვნის არსებობით ამართლებდა ფორმალურად სამინისტრო ხე-ტყის დამზადების 20 წლიანი ლიცენზიების გაცემას მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებში. კარგი იქნება, თუ განსახილველი დოკუმენტის ავტორები სრულად გაითვალისწინებენ და ჩადებენ ამ დოკუმენტში FSC-ის მეექვსე („გარემოზე ზემოქმედება“) და მეშვიდე („მართვის გეგმა“) პრინციპების ძირითად კრიტერიუმებს.

ირაკლი მაჭარაშვილი

ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი